ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №442245

ნომერი: AR190674

თარიღი : 06.11.2012

გაცემის თარიღი : 21.11.2012

გაცნობის თარიღი : 23.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი II , პოლიკლინიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გლდანი-ნაძალადევის რაიონში გლდანის I და II მ/რ-ს შორის არსებული სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატალია წიქარიძე პ/ნ 01021012720
- თბილისი თემქა III მ/რ I კვ. კორ. 21 ბ. 48

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.06.11 წ. #795 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 11/05/2012 წ. AR190674 განცხადებით მომართა ნატალია წიქარიძემ (თანაგანმცხადებელი - ზურაბ კირკიტაძე) და მოითხოვა ამავე სამსახურის მიერ 08.06.11 წლის #795 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, გლდანის მასივში, II მ/რ-ში, პოლიკნიკის

მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე, სავაჭრო-საოფისე შენობა-ნაგებობის ასაშენებლად დამტკიცდა #795 (08.06.11) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა #01.11.12.013.031 საკადასტრო ერთეულზე, ფართობით: 409 კვ.მ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის (ამონაწერის მომზადების რეგისტრაციის №892012070143, ამონაწერის მომზადების თარიღი: 26.10.2012წ. საკადასტროს რეგისტრაციის №892012070143 საკადასტროს მომზადების თარიღი: 26.10.2012წ; საკადასტრო კოდი №01.11.12.013.033 ფართობით 577 კვ.მ.) საფუძველზე დგინდება, რომ მოხდა საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის, საკადასტრო კოდისა და ფართობის ცვლილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.06.11 წ. #795 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს №01.11.12.013.033 საკადასტრო ერთეულზე საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.06.11 წ. #795 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საკადასტრო კოდი მიეთითოს – №01.11.12.013.033 მიწის ნაკვეთის ფართობი დაფიქსირდეს – 577 კვ.მ;

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.06.11 წ. #795 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.